# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 223

2019წ. "03" 12

ქ.თბილისი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^2$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 04 ივნისს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-08/199 საავრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №697919) „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის №543 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის №804 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 26 სექტემბერს განახორციელა საავრედიტაციო ვიზიტი სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 26 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, საავრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | ✓ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | ✓ | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 03 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3$^2$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27$^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 27$^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27$^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 03 დეკემბრის №63 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამაში აისახოს ევრო-დირექტივა 2005-36-ის მოთხოვნები და რეკომენდაციები;

ბ) პროგრამის მიზნებში ცხადად ჩანდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;

გ) პროგრამა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა;

ე) შემოქმედებითი ტურის თითოეული კომპონენტის შეფასების ადეკვატურობის გამყარების მიზნით, ყოველი კრიტერიუმისთვის თვალსაჩინოდ გაიწეროს შეფასების ქულათა დიაპაზონი;

ვ) უფრო ლოგიკურად იქნეს გააზრებული და ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები, კერძოდ:

ვ. ა) „აზომვითი პრაქტიკის" სასწავლო კურსი, ასევე ამ კურსის სილაბუსში ზუსტად გაიწეროს პრაქტიკის გავლის ვადები;

თავმჯდომარე

მდივანი

ზ. ბ) „ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლების“ სასწავლო კურსი;

ზ. გ) „ინტერიერის დიზაინის საფუძვლების“ სასწავლო კურსი;

ზ.დ) „კონსტრუქციების“ სასწავლო კურსი, კოდით (B3b18-2).

თ) „კონსტრუქციების“ სასწავლო კურსს, კოდით (B3b18-1), რომელსაც ამჟამად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, წინაპირობად განესაზღვროს „არქიტექტურული კონსტრუქციების“ კურსი;

ი) „საბაკალავრო ნაშრომის“ სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს „არქიტექტურული გეგმარება“ ოდით B3b15-5;

კ) კომპიუტერული ტექნოლოგიების (გრაფიკული პროგრამების) შესწავლა იწყებოდეს AutoCAD-ის და ორგანზომილებიანი გრაფიკული პროგრამების adobe photoshop-ისა და CorelDRAW-ს საბაზისო საკითხების გაცნობით და შემდეგ ისწავლებოდეს პროგრამით გათვალისწინებული, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები (Revit architecture და Autodesk 3ds Max). ასევე, შეიცვალოს მათი დაშვების წინაპირობები;

ლ) დეტალურად გადაიხედოს არჩევითი ბლოკების/საგნების ნუსხა და დაკომპლექტდეს პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად;

მ) პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-თან, ასევე ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში სახელოვნებო კურსების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტექნიკური და საინჟინრო კურსების წილი;

ნ) კურიკულუმს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-ის შესაბამისად, დაემატოს „ერგონომიკის“ კურსი;

ო) პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;

პ) ზოგიერთი სასწავლო კურსის მიზანი, უფრო ლაკონურად, მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბდეს, შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიზანს ემსახურება ეს კურსი და არა იმის შესახებ, თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ საგნის შესწავლის შემდეგ, ან რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი. კერძოდ, დასახვეწია შემდეგი სასწავლო კურსების მიზნები:

პ.ა) „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“;

პ.ბ) „არქიტექტურული მასალათმცოდნეობა“;

პ.გ) „მაკეტირება“;

პ.დ) „მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია“;

პ.ე) „მშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლები“;

პ.ვ) „რეკონსტრუქცია-რესტავრაცია“;

პ.ზ) „ქანდაკება“;

პ.თ) „ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“;

თავმჯდომარე

მდივანი

პ.ი) „ქალაქთმშენებლობის საფუძვლები

პ.კ) „ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები";

ჟ) „კონსტრუქციების" სასწავლო კურსში, კოდით (B3b18-1), გაიშალოს სალექციო და პრაქტიკული მუშაობის თემატიკა. ამასთან, გადაიხედოს კურსის შინაარსიც;

რ) „შენობების საინჟინრო აღჭურვის" სასწავლო კურსში გაიშალოს სემინარის თემატიკა. ასევე, გაიზარდოს ამ კურსის კრედიტი, რადგან რეალურად იგი აერთიანებს 3 კურსს: „წყალმომარაგება-წყალარინება", „თბო-აირ მომარაგება", „ელექტრომომარაგება";

ს) „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების" სასწავლო კურსის სილაბუსში გადაიხედოს კურსის შინაარსი, კერძოდ არქიტექტურული ენის დაუფლების და არქიტექტურული ნახაზის წაკითხვის უნარის გამომუშავების მიზნით, რამდენიმე მეცადინეობა არქიტექტურული გრაფიკის ელემენტების შესწავლას (კედელი, კარები, ფანჯარა, კიბე და ა.შ.) დაეთმოს;

ტ) „არქიტექტურული გეგმარების" სასწავლო კურსების, კოდებით (B3b15-1, B3b15-2, B3b15-3, B3b15-4), სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების აქტივობებს დაემატოს - პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;

უ) „კონსტრუქციების", კოდით (B3b18-1) და „შენობების საინჟინრო აღჭურვის" სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს მოძველებული სავალდებულო ლიტერატურა;

ფ) „კომპიუტერული ტექნოლოგიების", კოდით (B3b7-6) სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურად სწავლების ენაზე შესრულებული სასწავლო მასალა;

ქ) „არქიტექტურული ფიზიკის" სასწავლო კურსის სილაბუსში, სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ვალიდური ლიტერატურა;

ღ) „შესავალი სპეციალობაში" სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული რუსულენოვანი რიდერი „არქიტექტურული ორდერები ვინიოლას მიხედვით" ითარგმნოს ქართულ ენაზე;

ყ) გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი. ასევე, მემორანდუმებში ასახულ იქნას დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობის მიღების მზაობა;

შ) პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის მხრიდან მიიღონ მხარდაჭერა;

ც) თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით (ტრენინგები) ამაღლდეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია;

ძ) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა;

წ) გაღრმავდეს საერთაშორისო თანამშრომლობა;

ჭ) უზრუნველყოფილ იქნეს საბიბლიოთეკო ქსელის გამართულად მუშაობა და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სტადარტებთან;

ხ) პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე დაინიშნოს მაღალი კომპეტენციის მქონე პირი.

თავმჯდომარე

მდივანი

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 06 დეკემბერს).

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| სხდომის თავმჯდომარე | გიორგი ამილახვარი |
| საბჭოს მდივანი | ნინო ლიპარტია |

დანართი №1

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | არქიტექტურა |
| 2 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის №211;<br>ავტორიზებული - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 (2018 წლის 01 აგვისტო) – 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით 2019 წლის 1 იანვარი;<br>„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32²-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი) |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | არქიტექტურისა და დიზაინის (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი) |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | არქიტექტურის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | „-------" |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 1101 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 6010, ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37 |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

| | | |
|---|---|---|
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2019 წლის 06 დეკემბერი |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2020 წლის 07 დეკემბერი |

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი